



საქართველო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 27 1

23/01/2020

ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და 122-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა.გოგორიშვილს), ქ. ვანში, ლორთქიფანიძის ქუჩაზე მდებარე 36 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 31.01.26.343) სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

